პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის ------- ნოემბერი;

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის N35 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმ-დებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 05/08/2025, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016718) შეტანილი იქნას ცვლილება და დადგენილებიდან ამოღებული იქნას მე-2 მუხლი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 5 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური
,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის N35 დადგენილებით ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა. ამავე დადგენილების მე-2 მუხლით განისაზღვრა მაკომპენსირებელი ღონისძიებები, რომელიც დაინტერესებულ პირს ეკისრება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში კი არ ხორციელდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება, შესაბამისად მაკომპენსირებელი ღონისძიებების განსაზღრას არ საჭიოებს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.36.24.934) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ა.ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ქალაქგანვითარებისა და
ურბანული პოლიტიკის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი კილაძე**